პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 მაისი, შაბათი, 1987 წ.
№ 100 (9511) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმძიმეების აწევა — საჭიდაო ქვასთან პაექრობა ოდითგანვე ყოფილა ცნობილი საქართველოში. კვირას, 24 მაისს ტარდება საკავშირო ღონისძიებები გირების აწევაში. ჩვენს რესპუბლიკაში ზეიმი 31 მაისამდე გაგრძელდება. ღია არენებზე, გარდა გირებისა, საჭიდაო ქვის აწევაში შეჯიბრების ტრადიციაც გაცოცხლდება.



### მსოფლიო თასისა და მოსკოვის დიდი პრიზის გათამაშება მრგვალ სტენდზე სროლაში

## გუნდთან ერთად



თამაზ იმნაიშვილი.

**მოსკოვი** (ტელეფონით, სპეც. კორ). მიტიშჩის სასროლეთზე მსოფლიო თასის გათამაშების მონაწილეებს ერთი გასროლით (უფრო სწორად, 225 გასროლით) ორი კურდღლის მოკვლა შეეძლოთ—მსოფლიო თასის პარალელურად ტარდებოდა ტრადიციული შეჯიბრება მოსკოვის დიდ პრიზზე. შეჯიბრებამ 30 ქვეყნის წარმომადგენლებს მოუყარა თავი. აქ სამი დღის წინ დაამთავრეს ასპარეზობა ადგილიდან მსროლელებმა, 20 მაისს კი მრგვალ სტენდზე მსროლელები დადგნენ ცეცხლის ხაზზე. სპეციალისტებმა ივარაუდეს, რომ ამ დისციპლინაში პირველობისათვის ბრძოლა გაცილებით დაძაბული იქნებოდა და არც შემცდარან. მონაწილეებმა პირველ დღეს დიდი კონკურენციის პირობებში მართლაც მაღალი შედეგები აჩვენეს.

— ჩვენი გუნდი უძლიერესი შემადგენლობით გამოდის, — გვითხრა საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა რობერტ ნიკულენკომ, — თამაზ იმნაიშვილი, ვალერი ტიმოხინი და ალექსანდრე ჩერკასოვი დღესდღეობით საუკეთესო მსროლელები არიან, თანაც ახლა სამივე კარგ ფორმაშია, ამიტომ გამარჯვების იმედი გვაქვს.

აქვე დავძენთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მესტენდურეთაგან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობენ გია შენგელია და ლაშა ასეიშვილი, მაგრამ ისინი მხოლოდ იუნიორთა მოსკოვის დიდი პრიზისათვის იბრძვიან. პირველ დღეს ჩვენი სამეულიდან ყველაზე ადრე ასეიშვილმა დაამთავრა გამოსვლა. გია შენგელიამ ორჯერ დაიმსახურა ტაში, — პირველი და მესამე სერია უშეცდომოდ ჩაატარა, მეორეში კი მხოლოდ ორი შეცდომა დაუშვა და მას 73 ქულა ჰქონდა. თამაზ იმნაიშვილის გვარის გასწვრივ მეოთხე გასროლის შემდეგ აინთო აცდენის აღმნიშვნელი წითელი ნათურა. მაგრამ ჩვენმა სახელოვანმა მესტენდურმა შეძლო მობილიზება და შემდეგ ყველა სამიზნე დაამსხვრია. პირველი დღის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობდნენ მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი დანიელი ოლე რიბერ რასმუსენი და ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი პეტერ მალეკი, რომელთაც აბსოლუტური შედეგი — 75-75 ქულა ჰქონდათ. რამდენიმე სპორტსმენმა, მათ შო-

იხ. მე-3 გვ.

## უდანაკარგოდ

**მოჟადრაკე** ქალთა XI საერთაშორისო ტურნირის V ტურში დიდ ინტერესს იწვევდა ლიდერების — ქეთევან არახამიასა და თამარ ხუგაშვილის შეხვედრა. არახამიამ დებიუტში მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღო, მაგრამ ხუგაშვილმა თანდათანობით გამოასწორა მდგომარეობა, ქეთევანმა ჯერ პაიკი, შემდეგ ფიგურაც შეწირა. თამარმა პაიკი აიყვანა, ფიგურის აყვანაზე კი უარი თქვა, რადგან ეს მდგომარეობას გაურთულებდა. საბოლოოდ პარტია გადაიდო მწვავე პოზიციაში ორმხრივი შანსებით.

საინტერესოდ წარიმართა კიდევ ერთი ლიდერის — ელენა ახმილოვსკაიას შეხვედრა ლიჯია ჟიკმანთან. პარტიის დასაწყისში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს რუმინეთის ჩემპიონს შეეძლო პოზიციის გათანაბრება, მაგრამ ახმილოვკაიამ ტაქტიკური დარტყმით პაიკი მოიგო და სწრაფად გადავიდა ენდშპილში, სადაც მას ზედმეტი „ჯანმრთელი" პაიკი დარჩა. ელენამ ზუსტად გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა.

ქეთევან კახიანისა და ლიუდმილა ზაიცევას პარტიაში მეტოქეები დაზავდნენ.

ლილიანა ლეშნერისა და ქრისტინ ნიუბერგის შეხვედრაში ლეშ-

იხ. მე-3 გვ.

### მშვიდობის ველორბოლა

## ორი ეტაპი დარჩა

**მშვიდობის** ველორბოლის მე-12 ეტაპი ჰოლანდიელმა იოჰანეს დრაეიერმა მოიგო. პოლონეთის ქალაქებს ლეგნიცასა და ვროცლავს შორის 180-კილომეტრიანი მონაკვეთი 4:11.21 წამში განვლო, მეორე და მესამე ადგილებზე საბჭოთა ველოსიპედისტები ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვი და ასიატ საიტოვი გავიდნენ.

თორმეტი ეტაპის შემდეგ რბოლას გდრ-ის წარმომადგენელი უვე ამპლერი ლიდერობს. იგი წუთზე მეტს უგებს ბულგარელ პეტარ პეტროვს და ორწუთნახევარს — პოლონელ ანჯეი მეჟეევსკის. გუნდურ ჩათვლაში წინ კვლავ გდრ-ის ველოსიპედისტები არიან, მეორეზე — საბჭოთა სპორტსმენები.

რბოლის დამთავრებამდე ორი ეტაპიღა დარჩა.

## დღეს რესპუბლიკის მოედანზე

### საქართველოს სპორტსახკომისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით

პირველად გაიმართება ერთდროული, მასობრივი საჭადრაკო სეანსი 700 დაფაზე — 25 დიდოსტატი, საერთაშორისო ოსტატი და ოსტატი ხვდება სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს, თამაშის ყველა მსურველს. შემთხვევა გექნებათ ეთამაშოთ ნონა გაფრინდაშვილს, ნანა ალექსანდრიას, ნანა იოსელიანს, ბუხუტი გურგენიძეს, თამაზ გიორგაძეს, ზურაბ აზმაიფარაშვილს, ზურაბ სტურუას, ამჟამად თბილისში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს...

ეს გრანდიოზული საჭადრაკო დღესასწაული რესპუბლიკის მოედანზე დღეს, 18 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.









## საქართველო „სპორტ ვ სსსრ"-ის ფურცლებზე

ეს პოპულარული ყოველთვიური ჟურნალი, როგორც ცნობილია, გამოდის რუსულ, ინგლისურ, ესპანურ, გერმანულ, ფრანგულ და უნგრულ ენებზე და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვრცელდება. აპრილის ნომერში ჟურნალმა დიდი ადგილი დაუთმო სპორტულ საქართველოს, სპორტის ქართულ, ეროვნულ სახეობებს, ხალხურ თამაშობებს, ტრადიციებს. ჟურნალი მკითხველს აცნობს საბჭოთა საქართველოს სპორტის ისტორიას, მოჰყავს სტატისტიკური მონაცემები. კორესპონდენტები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ხალხურ დღესასწაულებზე, რომლებსაც მუდამ ამშვენებს შეჯიბრებები სპორტის ეროვნულ სახეობებსა და თამაშებში.





## მხოლოდ „ვერცხლი" და „ბრინჯაო"

**ტანვარჯიშში** ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა 17 წლის რუმინელი გოგონა დანიელა სილვაში. მრავალჭიდის ჯამში მან 39,775 ქულა დააგროვა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თავისუფალ ვარჯიშში მან უმაღლესი შეფასება — 10 ქულა მიიღო. სილვაშს სხვა იარაღებზეც საუკეთესო შედეგები ჰქონდა: დვირზე — 9,95 ქულა, ორძელზე — 9,925 ქულა, ბჯენით ხტომაში — 9,90 ქულა.

ვერცხლის მედალი 14 წლის მოსკოველ ალევტინა პრიახინას ხვდა — 39,475, ბრინჯაოს მედალი კი ლენინგრადელმა ელენა შუშუნოვამ და ბულგარელმა დიანა დუდევამ გაიყვეს.

## საკუთარ სარბიელზე

**დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება სსრ კავშირის ჩემპიონატის ბოლოსწინა, მეხუთე ტური უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის.**

სარბიელზე ვიხილავთ მეორე ექვსეულის წარმომადგენლებს, ე. ი. მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებზე მყოფ გუნდებს, მათ შორის თბილისის „ბურევესტნიკს".

როგორც ცნობილია, იგი ამ ექვსეულში ბოლო, მეთორმეტე ადგილზეა (6 ქულა). თბილისში მოასპარეზე დანარჩენი გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: VII ადგილი — კიევის ასკ (21 ქულა), VIII — ლენინგრადის „ნევა" (17), IX — კაუნასის „გრანიტასი" (16), X — კრასნოდარის სკიფ-ი (15), XI — სპორტული კლუბი „ტირასპოლი" (9). უმაღლეს ლიგას გამოეთიშა ბოლო ადგილზე გასული გუნდი, ხოლო მეათე და მეთერთმეტე ადგილებზე მყოფი კოლექტივები გადასასვლელ შეხვედრებს გამართავენ პირველი ლიგის I და II ადგილებზე გასულ გუნდებთან.

— ჩვენი გუნდის მდგომარეობა სახარბიელო არაა, მით უფრო, რომ ავადმყოფობის გამო თბილისში ვერ ითამაშებს „ბურევესტნიკის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ხაზა ბულია, — გვითხრა თბილისის „ბურევესტნიკის" უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გიორგი ბერიაშვილმა. — მაგრამ ხელბურთელები გრძნობენ, რომ უკან დასახევი გზა არა გვაქვს და მზად არიან მთელი ძალით იბრძოლონ საკუთარ სარბიელზე, რათა კიშინიოვის დასკვნით ტურზე (5-11 ივნისს) ქულათა შედარებით კარგი მარაგით წარსდგნენ.

ბოლოს გთავაზობთ „ბურევესტნიკის" შეხვედრათა კალენდარს: 23 მაისი — „ტირასპოლი", 24 — ასკ, 25 — „ნევა", 27 — სკიფ-ი, 28 — „გრანიტასი".

# 21 ივლისს, ცხინვალში

## ორიენტირი — სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

**სპორტული** სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები, როგორც ცნობილია, ზაფხულში ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდება.

ჩვენი რესპუბლიკის ძალოსნები ამ ასპარეზობისთვის მზადებას შარშან, ივლისში შეუდგნენ. პირველი შეკრება ამბროლაურში ჰქონდათ — სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის ბაზაზე ვარჯიშობდნენ. მართალია, ისინი კარგად დაბინავეს, კვების ბლოკი და სპორტული დარბაზიც ერთად იყო, მაგრამ რაც მთავარია, საწვრთნელი პირობები ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს.

ჩვენი ძალოსნების ძირითადი ბაზა საქართველოს სპორტსახკომის დარბაზია. წელს აქ ოთხი ოცდღიანი შეკრება მოეწყო. ძალოსნებს ბოლო შეკრების დღეებში ვეწვიეთ.

დარბაზში შესვლისთანავე თვალში მოგვხვდა ორი მხრიდან ფანერით შემოღობილი გასახდელი. სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად მოწვეულ მშენებლებს გასახდელები ერთი წლის წინ დაუნგრევიათ, მაგრამ ისევ აშენება რომ უნდოდა, ეს როგორც ჩანს, დავიწყნიათ.

ამ დარბაზის ერთი „უპირატესობა" ისაა რომ იგი თურმე ზამთარში არ თბება, ისე რომ ძალოსანი ვარჯიშის დროს გაციების შიშით მხართეძოზე ვერ წამოწვება, ვერ იზარმაცებს. რაც შეეხება ცხელ წყალს, რომელიც სპორტსმენს ვარჯიშის შემდეგ ჰაერივით სჭირდება, იშვიათად მოდის.

— ტრენაჟორები თუ გაქვთ? — ვკითხეთ რესპუბლიკის ძალოსანთა ახალგაზრდული ნაკრების უფროს მწვრთნელს გოგი თოდაძეს.

— ერთი და ისიც გაფუჭებულია.

● **სპორტსმენები და მათ შორის ძალოსნებიც ხშირად მუსიკის თანხლებით ვარჯიშობენ....**

— ეს მეთოდი ახალი არ არის. მუსიკის თანხლებით ამ რამდენიმე წლის წინ საკავშირო ნაკრებში ყოფნისას ვვარჯიშობდით, — გვითხრა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ამირან ჰიტაძემ. — მუსიკა ხელს უწყობს სპორტსმენის აქტივობას, განწყობილებასაც ამაღლებს, რაც დადებითად მოქმედებს შედეგებზე. ვფიქრობ, მუსიკის თანხლებით ვარჯიში არც ჩვენ გვაწყენდა.

● **თუ თქვენი მოძველებული შტანგების მიხედვით ვიფიქრებთ არც ამ მხრივ უნდა გილხინდეთ?**

— რაც გვაქვს ამითაც არ ვემდურით ბედს, მაგრამ ძალიან უჭირთ რეგიონებში,—გვითხრა გოგი თოდაძემ. შეკრებების შემდეგ თავის რაიონში დაბრუნებული სპორტსმენი იმის გამო, რომ სავარჯიშო პირობები არა აქვს, სპორტულ ფორმას კარგავს. არადა სწავლას მთლიანად ხომ ვერ მოვწყვეტთ.

● **ექიმი თუ გყავთ?**

— თქვენ ალბათ ადრინდელი გახსოვთ, ამ მხრივ მდგომარეობა გამოსწორდა, ჩვენი მეურვეობა დაავალეს თბილისის № 1 დისპანსერის ექიმს კოტე კილაძეს. იგი თავისი საქმის კარგი სპეციალისტია და მხარში იმედიანად ამოგვიდგა.

● **თქვენს გარდა კიდევ ვინ მუშაობს ნაკრების წევრებთან?**

— გუნდის უფროსია განათლების სამინისტროს ინსტრუქტორი გოგი ზურაბიშვილი, მწვრთნელები შოთა წერეთელი, ოლეგ დემუროვი და ვლადიმერ ქორქოლიანი. გუნდის მომზადებაზე პასუხისმგებელია ამირან ჰიტაძე.

● **ნაკრები ძირითადად რომელ რეგიონებში აღზრდილი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული?**

— 5-5 ძალოსანია საჩხერედან და თბილისიდან, 4 — ცხინვალიდან, 2 — ქუთაისიდან, 2 — წალკიდან, თითო-თითო — აფხაზეთიდან, წყალტუბოდან და რუსთავიდან.

● **რა მიზანს ისახავთ სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშებზე?**

— გუნდი რომელ ადგილს დაიკავებს, ამის ვარაუდი გამიჭირდება, ინდივიდუალურ გამოსვლებში კი მერაბ ხუბუკელაშვილის იმედი გვაქვს, იქნებ მესამე საპრიზო ადგილზე გავიდეს.

მწვრთნელებთან საუბარმა და ნანახმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენს ძალოსნებს მეტი ყურადღება სჭირდებათ. ბევრჯერ გვითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: სავარჯიშო პირობებს სპორტსმენის მომზადებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ კი ჩვენ ბევრი რამ გვაქვს მოსაგვარებელი. სპორტსმენს სავარჯიშოდ უნდა მიუხაროდეს.

ჩვენს ძალოსნებს ბოლო შეკრება (1-დან 20 ივლისამდე) ცხინვალში ექნებათ. იქვე 21 ივლისს სპორტსკოლების აღსაზრდელთა ფინალური შეჯიბრება დაიწყება.

**ჯემალ კასრაძე.**



ნაკრების უფროსი მწვრთნელი გიორგი თოდაძე და ძალოსანი მერაბ ხუბუკელაშვილი.
ავტორის ფოტო.

**საკითხის დასმის წესით**

# უპირველესად — ლიდერები

**ამას** წინათ ბაქოში ჩატარდა კომპლექსური ტურნირი „მეგობრობა-87" ამიერკავკასიის რესპუბლიკების დედაქალაქების ნაკრები გუნდების მონაწილეობით. სპორტის სხვა სახეობათა შორის ჭადრაკში გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისის გუნდიც, რომლის ღირსებას იცავდნენ ოსტატობის კანდიდატები: ა. შალამბერიძე, გ. ცქიტიშვილი, ზ. ხოფერია, თ. ტაბატაძე, გ. ხომერიკი, პ. მესტვირიშვილი, საერთაშორისო ოსტატი თ. ხუგაშვილი და ოსტატობის კანდიდატი ლ. სადუნიშვილი.

ტურნირი ერთ წრედ ჩატარდა. მისი ტექნიკური შედეგები ასეთია: I ადგილზე ბაქოს ძლიერი გუნდი გავიდა — 10 ქულა 16 შესაძლებლიდან, II ადგილზე — ერევნის ნაკრები — 8,5. 5,5 ქულით უკანასკნელი ადგილი თბილისის გუნდმა დაიკავა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს „ნადავლი" სულ 4 მოჭადრაკეზე მოდის: კვლავ დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი საერთაშორისო ოსტატმა თამარ ხუგაშვილმა, რომელმაც ორივე პარტია მოიგო. მნიშვნელოვანი შენაძენი მისცეს გუნდს ლია სადუნიშვილმა და გია ცქიტიშვილმა — თითოეულმა 1,5 ქულა, თანაც ამ უკანასკნელმა მეორე დაფაზე თეორიული სიახლე გამოიყენა და კარგი სტილით დაამარცხა ერევნელი ოსტატი გალდუნცი. მესამე დაფაზე 0,5 ქულა მოიპოვა ზაზა ხოფერიამ.

შეჯიბრების მასპინძლებმა კრაგად გაართვეს თავი ტურნირთან დაკავშირებულ ყველა სიძნელეს. ეს ჩვენ გაგვიჭირდა, კერძოდ, თბილისის ნაკრების ძლიერი მოჭადრაკეებით დაკომპლექტება. დიახ, ჯერ კიდევ **ტურნირის დაწყებამდე იყო ნათელი, რომ თბილისის გუნდი მარცხს ვერ გადაურჩებოდა.** თუ ქალთა დაფებზე სათამაშოდ კარგად შევარჩიეთ მოჭადრაკეები (ამაში საბოლოო შედეგი გვარწმუნებს — 5,5 ქულიდან 3,5 ქალებმა მოიპოვეს), ვაჟებზე, მიუხედავად ქალაქის სპორტკომიტეტისა და ჭადრაკის ფედერაციის დიდი მცდელობისა, ამას ვერ ვიტყვით. **სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქალაქში, სადაც ორ ათეულზე მეტი დიდოსტატი და ოსტატი ცხოვრობს, 6 დაფაზე სათამაშოდ მხოლოდ ოსტატობის კანდიდატები შევარჩიეთ,** უფრო სწორად, შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებაზე მხოლოდ ისინი დავიყოლიეთ. ეს მაშინ, როცა ბაქოელებმა ვაჟთა 6 დაფაზე 5 ოსტატი გამოიყვანეს. მათ შორის, ერთი საერთაშორისო ოსტატი, ხოლო ერევნელებმა — 2 ოსტატი (მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის ვაჟთა რესპუბლიკური პირველობა 24 აპრილს, ე. ი. „მეგობრობა-87"-ის დაწყების დღეს დამთავრდა). მართალია, ჩვენმა ვაჟებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქების წარმომადგენლებს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ, რადგან ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ძალა აღმართს ხნავს და მარტო მონდომება და სურვილი, სათანადო კლასისა და დონის გარეშე, სასურველ შედეგს არ იძლევა. ამიტომ გუნდის მარცხის ნამდვილ მიზეზად ვაჟების წარუმატებელი თამაში კი არ უნდა ჩავთვალოთ, არამედ ზოგიერთი მაღალი კლასის თბილისელი ახალგაზრდა მოჭადრაკის საქმისადმი არასერიოზული, მეტიც — არაპატრიოტული დამოკიდებულება. **ჩვენს გუნდში რომ თუნდაც ორი-სამი ოსტატი ყოფილიყო, გუნდის ძალა საგრძნობლად მოიმატებდა და ტურნირის საბოლოო შედეგები არ იქნებოდა ჩვენთვის ასეთი სავალალო.**

როგორც ჩანს, მიზეზი უფრო ღრმად ძევს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ თბილისის ვაჟთა ფინალურ ტურნირში მაღალი კლასის მქონე თბილისელი მოჭადრაკეები არ მონაწილეობენ. ამის მიზეზი უნდა იყოს ინდივიდუალური კოეფიციენტების სისტემის შემოღება. სხვაგან არ ვიცი, მაგრამ ჩვენი ქალაქის საჭადრაკო ცხოვრებაზე ამ სისტემამ სასიკეთოდ ვერ იმოქმედა, რადგან ინდივიდუალურ კოეფიციენტზე მზრუნველი მოჭადრაკეები ყველა ტურნირს ამ პოზიციებიდან აფასებენ. საკითხისადმი ასეთი მიდგომის ლოგიკური შედეგი გახლავთ კონტაქტების შესუსტება მოჭადრაკეთა ამ ჯგუფსა და უკოეფიციენტო მოჭადრაკეებს შორის და საბოლოოდ — ახალგაზრდების დაოსტატების შეფერხება. ამიტომ თბილისის ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოჭადრაკეთა თამაშის კლასის გასაუმჯობესებლად აუცილებელია დედაქალაქის პირველობის ავტორიტეტის შემდგომი ამაღლება, რაც ძირითადად ორი გზით შეიძლება განხორციელდეს. პირველი: **თბილისის ფინალი კოეფიციენტიანი ტურნირი უნდა გახდეს.** მეორე: **რესპუბლიკის ფინალურ ტურნირში არ უნდა დავუშვათ ის ოსტატები (გარდა საერთაშორისო ოსტატებისა და დიდოსტატებისა), რომლებიც თავს აარიდებენ თბილისის ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობას.** ამისთვის კი საჭიროა ქალაქის ფინალური ტურნირიდან, ახლანდელი 2-3 ადგილის ნაცვლად, 6-8 ადგილი გადიოდეს რესპუბლიკის ფინალში. ამის მოგვარება თუ შევძელით, ჩვენი წამყვანი მოჭადრაკეები მეტი ხალისითა და დაინტერესებით გამოვლენ თბილისის ფინალში, რაც დადებითად იმოქმედებს ჩვენი ახალგაზრდა მოჭადრაკეების შემდგომ დაოსტატებაზე. რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება კიდევ საჭიროებს გადასინჯვას და დაკონკრეტებას, მაგრამ, რაციონალური მარცვალი მასში არის. აი, ასე გვესახება გარდაქმნის პირველი ნაბიჯები თბილისის საჭადრაკო ცხოვრებაში.

საკამათო არ გახლავთ ის, რომ ინდივიდუალური კოეფიციენტი გაფრთხილებას და გაზრდას საჭიროებს, მაგრამ იგი ფეტიშად არ უნდა ვაქციოთ. არ შეიძლება ყველა შეჯიბრების ამ პოზიციიდან შეფასება: „რას მომცემს ეს ტურნირი?". **ბოლოს და ბოლოს, ოსტატის წოდება მარტო უფლება ხომ არ არის, ის მოვალეობასაც გვაკისრებს, მათ შორის 3-4 დღის „გაწირვასაც" მშობლიური ქალაქის ინტერესებისთვის.** ბაქოს ტურნირი არ იყო პრესტიჟული ზოგიერთი თბილისელი ოსტატი ვაჟისთვის (მათ გვარებს მხოლოდ იმიტომ არ ვასახელებთ, რომ ადრესატებმა იციან, ვისზეა ლაპარაკი), მაგრამ ამ შეჯიბრებაში გამარჯვება ღირსების საქმე იყო ჩვენი დედაქალაქისთვის. ღირსება კი უპირველესია ადამიანისთვის.

**ზურაბ ჩაჩუა,**
**დოცენტი, თბილისის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.**

**რედაქციისაგან: ქართული ჭადრაკის პრესტიჟს გაფრთხილება უნდა. ამიტომაც გასაგებია წერილის ავტორის გულისტკივილი. როგორც ჩანს, რაღაც ზომები აუცილებლად უნდა მივიღოთ. იმედია, წერილი უპასუხოდ არ დარჩება.**

# სიღნაღელები თბილისელებს იწვევენ

„მხიარული სტარტები" სიღნაღის რაიონში ერთ-ერთი პოპულარული ასპარეზობაა, შეჯიბრებაში, რომელიც ამას წინათ გაიმართა, რაიონის ყველა საშუალო და რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. სულ 20 შეხვედრა გაიმართა. „მხიარულ სტარტებს" 14719 მაყურებელი დაესწრო — სიღნაღის რაიონის მოსახლეობის თითქმის მესამედი.

„არც ერთი სამოსანი შეჯიბრების მონაწილეთა შორის!" — ამ დევიზით ხელმძღვანელობდნენ მაღაროს, ზემო ბოდბეს, ტიბაანის, ჯუგაანის და სხვა საშუალო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლები.

მოსწავლეები სპორტის 14 სახეობაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

მაღაროს „ჩირაღდანსა" და ზემო ბოდბის „ირბისს" შორის გამართულ საფინალო შეჯიბრებაში მაღაროელებმა - იმარჯვეს. სწორედ მათ წარმოადგინეს ყველაზე საინტერესოდ მუსიკალური პაუზა და ყველაზე მეტ სპორტულ სახეობაშიც მათ გაიმარჯვეს.

სიღნაღის სპორტკომპლექსის თასები გადაეცათ საუკეთესო სპორტსმენებს: მაღაროელ თამარ ჭრელაშვილს და გიორგი უსუფაშვილს, ზემობოდბელ ქეთინო ლეკიაშვილს და ზვიად ლაფითაშვილს.

ახლა მაღაროს საშუალო სკოლის გუნდი „ჩირაღდანი" და სხვა საშუალო სკოლის გუნდებიც მზად არიან შეხვდნენ რესპუბლიკის ნებისმიერ საშუალო სკოლის გუნდს, კერძოდ თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ნაკრებს.

სიღნაღის სპორტული კომპლექსი მზადაა თამაშების ჩასატარებლად. გელით, თბილისელებო!

**შოთა ყანჩაშვილი,**
**სიღნაღის სპორტული კომპლექსის ინსტრუქტორ-მეთოდისტი, „მხიარული სტარტების" მთავარი მსაჯი.**

## მოკლედ

### ვანი

**ვანის** ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა პიონერული რაზმეულების შეჯიბრება მძლეოსნობის ფედერაციის თასზე — „მეგობრობა". პროგრამაში იყო გოგონათა და ჭაბუკთა რბენა 60 და 300 მეტრზე, 150-გრამიანი ბურთის ტყორცნა და გამორბენით სიგრძეზე ხტომა.

გუნდურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს ქ. ვანის № 2 საშუალო სკოლის პიონერებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ შუაგორას საშუალო სკოლის წარმომადგენლები, მესამე-მეოთხე ადგილები, ერთნაირი ქულებით, სალხინოსა და უხუთის საშუალო სკოლების გუნდებმა დაისაკუთრეს. არასრული საშუალო სკოლების წარმომადგენელთა შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს დიხაშხოელმა, ზეინდრელმა და მუქედელმა პიონერებმა.

**მურთაზ პირველაშვილი,**
**„ლელოს" კორესპონდენტი.**
**ვანი.**

**ყურადღება, სახელმწიფო მიღება!**

# ნახევარზე მეტი ჩაიჭრა

**„განთიადის"** ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სპორტსკოლა რესპუბლიკაში საუკეთესოდ, ან ერთ-ერთ საუკეთესო სკოლად ითვლება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ განთიადელთა შედეგებიც ნათლად გვიჩვენებს რა დონეზეა რესპუბლიკაში ცურვის განვითარება. საკავშირო სტანდარტებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებით.

ამ დღეს განთიადელებს ე. წ. სახელმწიფო მიღება ჰქონდათ. ეს მწვრთნელებისა და მთლიანად სპორტსკოლის გამოცდაც იყო.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ **მოსწავლეთა ნახევარმა ნორმატივები სამიანზეც ვერ ჩააბარა.**

სახელმწიფო მიღებაზე 29 მოცურავე უნდა გამოსულიყო, მაგრამ გავიდა მხოლოდ ათი. რვა საქართველოს ნაკრების, ორი კი ქვეყნის მოცურავეთა ნაკრების შეკრებაზე იმყოფებოდა, სამი ავად გამხდარა, ექვსს კი ცურვისთვის, საერთოდ ზურგი შეუქცევია.

**ის ექვსი, რომელთაც სპორტული დაოსტატების ჯგუფში 1 წლის მეცადინეობის სტაჟი აქვთ, ერთი მწვრთნელის, თბილისელი ვიაჩესლავ ბედნენკოს აღსაზრდელები არიან. გამოდის, რომ მწვრთნელს ეს ჯგუფი მხოლოდ ქაღალდზე ჰყოლია.**

გამოცდა ვერ ჩააბარეს რუდიკ ერვანდიანის აღსაზრდელებმა ედუარდ ბაკლაგოვმა, ელიზბარ კონჩიაშვილმა და ოლეგ ბელოვმა, აგრეთვე ალეკო იოაკიმიდის შეგირდებმა ნანა რეშეტნიაკმა, და კონსტანტინე ბოგატირიოვმა (ყველა — რუსთავი).

სახელმწიფო მიღებაზე გამოცდა წარმატებით ჩააბარეს თბილისელმა როლანდ გუკასოვმა, ნიკა ნოზაძემ, ელენა ლუკიანჩუკმა (მწვრთნელი ლიუბოვ კარაჩენცევა. აქვე უნდა ითქვას, რომ მისი ორი აღსაზრდელი საქართველოს ნაკრებშია), თეონა ხვადაგიანმა (მერი მაჭავარიანი), რუსთაველმა ვიქტორია უტიცკიხმა (ალეკო იოაკიმიდი).

საკამათო არ არის ის, რომ განთიადელებმა სახელმწიფო მიღებაზე თავი შეირცხვინეს. დიახ, **როცა გუნდის წევრთა ნახევარი ნორმატივებს ვერ აბარებს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ დაოსტატების საქმე სკოლაში არ დგას სათანადო სიმაღლეზე.** საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა ცურვაში იგორ ბარსკიმ გვითხრა, რომ სახმილების შედეგების დეტალური ანალიზის შემდეგ გადამჭრელ ზომებს მიიღებენ: ზოგიერთ მწვრთნელს ხელფასსაც კი დააკლებენ. იქნებ საერთო საქმისადმი სწორედ ასეთმა მიდგომამ გამოიღოს ნაყოფი.

**ავთანდილ ჟუჟუნაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...უნდოთან მრთად

...ასრული

...თამაზ იმნაიშვილმა 74 ქულა მოაგროვა.

21 მაისს სპორტის დამსახურებ... ოსტატმა თამაზ იმნაიშვილ... თავის სპორტულ ჯილდოებს ... ერთი მიუმატა. ჩვენი ქვეყ... ნაკრებმა — თამაზ იმნაიშვი... ნოვოსიბირსკელი ალექსანდრე ...ასოვისა და ბაქოელი ვალერი ...ხინის შემადგენლობით მოს... დიდი პრიზი და მსოფლიო ... მოიპოვა.

...უნდა ითქვას, რომ ამ პრიზის ... უკანასკნელ სერიებამდე ბე... ...იდა. შეჯიბრების პირველი ... შემდეგ ჩვენ გუნდს 223 ... ჰქონდა და მხოლოდ ქულით ...რებოდა იტალიისა და ჩეხოსლ... ...ის ძლიერ ნაკრებებს. პირად ...ლობაში კი ისეთი ვითარება ..., რომ ვარაუდის გამოთ... აზრი არ ჰქონდა. დანიელ რა... ...ნსენის და ჩეხოსლოვაკიელ ...ის გარდა, პირველი დღის ...ულს კიდევ სამმა სპორტსმე-ნმა — იტალიელმა ჯოვანანჯელომ, ჩეხოსლოვაკიელმა ჰულამ და ჩვენმა ტიმოხინმა შეძლეს აბსოლუტური შედეგების ჩვენება — 75-75 სამიზნე დაამსხვრიეს, ხოლო ათმა სპორტსმენმა, მათ შორის თამაზ იმნაიშვილმაც თითოჯერ ააცდინეს მიზანს.

გუნდური პირველობის გადამწყვეტ ფაზაში ბევრ სპორტსმენს ნერვებმა უმტყუნა. მეორე დღეს, პირველსავე სერიაში, ტიმოხინმა, რომელმაც 4-ჯერ ააცდინა მიზანს, 25 შესაძლებლიდან 21 ქულა მოაგროვა. ასეთ პირობებში საბჭოთა ნაკრების პერსპექტივები საგრძნობლად შეიზღუდა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ვერც მეტოქეებმა მოთოკეს ნერვები. ჯოვანანჯელომ, რომელმაც 225 გასროლიდან 224 ქულა აიღო, 2-ჯერ ზედიზედ ააცდინა ტყვია მიზანს. შეუცდომლად ისროდნენ ჩეხოსლოვაკიელები მალეკი და ჰულა, მაგრამ მათ მესამე თანაგუნდელს ბეხინსკის ხელი მოეცარა.

75 გასროლიდან იმნაიშვილს 2 თეფში გაუფრინდა დაუზიანებლად, მაგრამ ამ სერიებში მისი და ალექსანდრე ჩერკასოვის მიერ მოგროვილი ქულები საკმარისი აღმოჩნდა ტიმოხინის შეცდომის გამოსასწორებლად. საბოლოოდ ჩვენმა გუნდმა 441 ქულა მოაგროვა, იმდენივე, რამდენიც იტალიელებმა, მაგრამ, რადგან მასპინძლებმა ბოლო სერიაში უკეთესი შედეგი აჩვენეს, გამარჯვება მათ დარჩათ. მესამე ადგილზე გავიდა ჩეხოსლოვაკიის გუნდი, რომელიც მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა პირველ ორ გუნდს.

გუნდური პირველობის დამთავრების შემდეგ უფრო გამოიკვეთა ლიდერთა პოზიცია პირად პირველობაში. უნდა ითქვას, რომ ამ შეჯიბრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს — გამარჯვებული სპორტსმენი თავის გუნდს ერთ ვაკანტურ ადგილს მოუპოვებს სეულის ოლიმპიურ თამაშებზე. ნანატრი საგზური მართლაც ძალიან „ძვირი ღირს“, მაგალითად, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ნოემბერში უნდა გაიმართოს, ასეთი საგზური არ თამაშდება.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

# რესპუბლიკის ჩემპიონატი. მეორე ტური

**გაიმართა** ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატის I წრის II ტურის მატჩები. დასავლეთ ზონაში ქუთაისის გუნდმა ანგარიშით 30:22 მოუგო აჭარის ნაკრებს, სამტრედიელთა კოლექტივმა — აფხაზეთისას — 29:28. აღმოსავლეთ ზონაში რუსთაველმა ხელბურთელებმა სძლიეს თბილისის ოლიმპიური რეზერვის სკოლის გუნდს — 34:31, თელაველებმა — სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს — 32:27.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველებმა ამჯერად კარგად ვერ უმასპინძლეს შეჯიბრებას — დარბაზი არ მოამზადეს ხელბურთელთა ასპარეზობისათვის.

როგორ გამოიყურება სატურნირო ცხრილი ორი ტურის შემდეგ? დასავლეთ ზონაში ორ-ორი ქულა აქვთ აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისისა და სამტრედიის ხელბურთელებს. აღმოსავლეთ ზონაში ერთპიროვნულად დაწინაურდა თელავის გუნდი — 3 ქულა, სამხრეთ ოსეთისა და რუსთავის თითო... 2 ქულა აქვთ, თბილისელ სპორტსკოლელებს — 1 ქულა.

პარალელურად მიმდინარეობს ხელბურთელ ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელშიც 9 გუნდი მონაწილეობს. შეჯიბრებას თავი აარიდეს ტყიბულელმა ხელბურთელებმა.

უკვე დამთავრდა პირველი წრე. (მატჩები ქუთაისში ჩატარდა). პირველ ჯგუფში ლიდერობა ხელთ იგდო თბილისის პირველმა გუნდმა, რომელმაც ოთხივე შეხვედრა მოიგო. მეორე ადგილზეა ქუთაისელთა კოლექტივი (6 ქულა), მესამეზე — ფოთის (4 ქულა), მეოთხეზე — აჭარის (2 ქულა), მეხუთეზე რუსთავის (0 ქულა) გუნდი.

მეორე ქვეჯგუფში დაწინაურდა თბილისის II გუნდი — 6 ქულა (მოიგო სამივე მატჩი). შემდეგ მოდიან წყალტუბოს (4 ქულა), სამხრეთ ოსეთის (2 ქულა) და აფხაზეთის (0 ქულა) გუნდები.

# ...დანაკარგოდ

...ასრული

...თავიდანვე ხელთ იგდო უპ...ტესობა და 23-ე სვლაზე ლამაზი კომბინაციით გაიმარჯვა.

...ელა ქასოშვილმა თეთრებით ...თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატი... ჰენრიეტა ლაგვილავასთან შე...ვედრაში, მაგრამ ლაგვილავამ შე... მდგომარეობის გამოსწორე... მან პაიკი მოიგო, თუმცა ქა...შვილი ცდილობდა კონტრთამაში ... მან ეს ვერ შეძლო, რად... უმძაფრეს ცაიტნოტში მოხვდა, ...რც პაიკიც დაკარგა და, უკვე ... პოზიციაში, დროს გადააც...

...ტალია კონოპლიოვას ავადმყ...ობის გამო მისი შეხვედრა ევ...ა პეიჩევასთან არ შედგა.

...გუშინწინ მოეწყო შეხვედრები ...დებული პარტიების დასამთავ...ლად. არახამია-ხუგაშვილის გა...დებულ პარტიაში (V ტური) არ...ამ გიმარჯვა.

...ბერგს მოუგო ახმილოვსკა... ეს ახმილოვსკაიას ზედიზედ ...ვებული მეხუთე გამარჯვებაა ტურნირში.

...ბერმა არაზუსტად გაითამაშა ...ბილი ლაგვილავასთან III ...ის გადადებულ პარტიაში და ...ცხდა.

...ვე დღეს შედგა კონოპლიო... და პეიჩევას V ტურიდან გა...დებული პარტია. გაიმარჯვა ...ოპლიოვამ.

... ტურის შემდეგ ლიდერთა ... ასეთი მდგომარეობაა: ელ... ახმილოვსკაია — 5 ქულა, ... არახამია — 4, ჰენრიეტა ...ვილავა — 3 (1), თამარ ხუგა...ლი, ლილიანა ლეშნერი (პო...ეთი) — 3-3.

...რთვად, ხუგაშვილთან გამარ...ბით არახამიამ სერიოზული გა... გააკეთა დიდოსტატის მე... ბალის მოსაპოვებლად (8,5 ...), ხუგაშვილმა კი, ამ მარც... შეამჩნევად გაირთულა მდგომარეობა იმავე მიზნის მისაღწევად ...ლაში (იგი ხომ დიდოსტატის ... ბალის ასაღებად იბრძ... ახლა თამარს დარჩენილ 6 ...ტრაში მხოლოდ ნახევარი ...ის დაკარგვის „უფლება“ აქვს. ...ერთაშორისო ოსტატის წოდე...ამიებლებს — ჰენრიეტა ლა...ვილავასა და ლილიანა ლეშნერს, ... ურიგოდ არ უნდა ჰქონ... საქმე. დარჩენილ 6 პარტიაში მხოლოდ 3,5 ქულის მო... სჭირდებათ (საერთაშორისო ...ის ბალი 6,5 ქულას შეად...), მაგრამ თუ იმასაც გავით...ისწინებთ, რომ ამ ორ ახალგა...ს შემდგომ ტურებში მეტად ... მოჭადრაკეებთან მოუწევთ ... (ახმილოვსკაია, ზაიცევა, ...ლიოვა, არახამია, ხუგაშვი...), ამოცანა მეტად რთულია ... რომ საპატიოც. ღავულოცოთ ...ის „მეტელშპილსა“ და „ენ...“.

**ვასილ ვაშაკიძე,**
**ოსტატობის კანდიდატი.**

# სეზონი ფოთში გაიხსნა

**ნებისმიერ** სახეობაში მომცადინე ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლის პირველობა მნიშვნელობით, რა თქმა უნდა, ჩამოუვარდება სხვა, უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებებს და, ცხადია, არც სპეციალისტთა ფართო წრის ყურადღებს იქცევს. გამონაკლისი თითქოს არც ამას წინათ ფოთში გამართული სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ბავშვთა და მოზარდთა წყალსათხილამურო სპორტული სკოლის ღია პირველობა უნდა ყოფილიყო, მით უფრო, რომ სპორტკლუბ „აიას“ ბაზაზე მხოლოდ 38 მოზარდი სპორტსმენი შეიკრიბა (20 ფოთელი, 12 თბილისელი და 6 ვილნიუსელი წყალმოთხილამურე), მაგრამ ასე არ მოხდა.

რატომ? ჩვენთვის, სამხრეთელებისთვის, მაგალითად, გაზაფხულზე საწყლოსნო სახეობებში შეჯიბრების ჩატარება ჩვეულებრივი ამბავია. ჩვენში ხომ გვიან შემოდგომით და ზამთრობითაც იმართება ნიჩბოსანთა და აფროსანთა შეჯიბრებები. ჩრდილოეთით, მოგეხსენებათ, ამ დროს ჯერ კიდევ ცივა, საწყლოსნოს ვინ ჩივის, „სახმელეთო სახეობებში“ ჰყირს ვარჯიში და ასპარეზობა. ამიტომ ჩვენი ქვეყნის წყალსათხილამურო ცენტრების — რუსეთის ფედერაციის, მოსკოვის, ბელორუსიისა და უკრაინის წარმომადგენლები მაისამდე წყალზე გასვლას და შეჯიბრების ჩატარებას იშვიათად ახერხებენ და ძირითადად საერთო ფიზიკურ მომზადებას იმაღლებენ და აუზში მეცადინეობენ. ფოთში კი გაზაფხულზე სრული დატვირთვით ვარჯიშიც შეიძლება და შეჯიბრებების გამართვაც. ტყუილად როდი მოუხშირა საბჭოთა კავშირის წყალმოთხილამურეთა ნაკრებმა ამ დროისათვის ფოთში სტუმრობას. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ჩვენი რესპუბლიკის წყალსათხილამურო სპორტსკოლის წლევანდელ ღია პირველობას სეზონის გახსნის საპატიო მისია დაეკისრა.

რა თქმა უნდა, გვახარებს, წელს ამ სახეობაში „პრემიერა“ ფოთში რომ გაიმართა, ამან ერთგვარად აამაღლა საქართველოს წყალმოთხილამურეთა შეჯიბრების ავტორიტეტი, მაგრამ ჩვენთვის, ცხადია, მნიშვნელოვანი უფრო შინაური საქმე იყო. ფოთში ხომ ამ სკოლის აქაური აღსაზრდელებით დაკომპლექტებულმა საქართველოს ნაკრებმა გუნდმა იასპარეზა. ამ გოგო-ბიჭებმა IX საკავშირო სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ღირსება დაიცვეს და მომავალშიც მათი იმედი უნდა გვქონდეს. ფოთელთა „ჰეგემონია“ კი, უეჭველია, კიდევ დიდხანს გაგრძელდება — მათ ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო წყალსათხილამურო ბაზა და მთელი წლის განმავლობაში ნაყოფიერი წვრთნის საუცხოო პირობები აქვთ. ნაკრების წევრებს, რა თქმა უნდა, გამარჯვება არ გასჭირვებიათ. ხათუნა კორკელიამ ყველას აჯობა მრავალჭიდსა და ფიგურულ სრიალში. ამ უკანასკნელ სახეობაში მან 3670 — სპორტის ოსტატის ნორმატივზე ოდნავ ნაკლები ქულა მოაგროვა. ვაჟთა შეჯიბრებაშიც ფოთელებმა იმარჯვეს. მრავალჭიდში გენადი პეტრუხინმა გაიმარჯვა, ფიგურულ სრიალში — გიორგი სურგულაძემ.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ისე განაწილდა, როგორც მოსალოდნელი იყო: ფოთელებმა პირველი ადგილი დაიკავეს, უფრო გამოცდილმა ვილნიუსელებმა კი ახალბედა თბილისელებს აჯობეს და მეორე ადგილზე გავიდნენ.

**თამაზ მიგრიაული.**

ფეხბურთი

# უეფა-ს თასი — „გეტებორგს“

**შვეციის** „გეტებორგმა“ მეორედ მოიპოვა უეფა-ს თასი. შოტლანდიის ქალაქ დანდიში ადგილობრივ „დანდი იუნაიტედთან“ გამართულ საპასუხო ფინალურ მატჩში სკანდინაველებმა ფრეს მიაღწიეს (1:1) და რახან პირველი შეხვედრა მოგებული ჰქონდათ (1:0), საპატიო თასსაც ისინი დაეპატრონენ.

პირველ ტაიმში, მიუხედავად მცირე ტერიტორიული უპირატესობისა, მასპინძლებმა მხოლოდ ორჯერ შექმნეს სახიფათო მდგომარეობა სტუმართა კართან. შვედები სწრაფი, მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდნენ და ერთ-ერთი ასეთი შეტევა გოლითაც დამთავრდა. ეს მოხდა 22-ე წუთზე — ლენარტ ნილსონმა გახსნა ანგარიში.

მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა მიეცა ანდერსონს, მაგრამ სულ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი კარს ააცილა. ამის შემდეგ შოტლანდიელებმა კიდევ უფრო მძაფრად შეუტიეს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ფერგიუსონი, სტაროკი და კლარკი. სწორედ კლარკმა გაათანაბრა ანგარიში: 59-ე წუთზე მან კარიდან დაახლოებით 20-22 მეტრის დაშორებით მიიღო ფერგიუსონის მიერ ჩამოწოდებული ბურთი, გზიდან ჩამოიცილა ერთ-ერთი მცველი და გოლიც გაიტანა — 1:1.

შოტლანდიელები მატჩის ბოლო წუთებზე განუწყვეტლივ უტევდნენ, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა — 1:1. „გეტებორგმა“ (მწვრთნელი გიუნტერ ბენგტსონი) მეორედ გაიმარჯვა უეფა-ს თასის გათამაშებაში.

საინტერესოა, რომ წლევანდელი ევროპის ტურნირების წინა ფინალური მატჩების მსგავსად, ეს შეხვედრაც კორექტულად ჩატარდა — რუმინელ არბიტრ იონ იგნას არც ერთი ფეხბურთელი არ გაუფრთხილებია. საკმაოდ მღელვარე ნახევარფინალური ორთაბრძოლების შემდეგ, ასეთ მშვიდობიან ფინალებს არავინ მოელოდა.

გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: **„დანდი იუნაიტედი“** — ტომპსონი, ჰოლტი (ჰეგარტი, 46), მალფასი, მაკინალი, კლარკი, ნერი, ფერგიუსონი, გალაჰერი, კერკვუდი, სტაროკი, რედფორდი (ბენონი, 73), **„გეტებორგი“** — ვერნერსონი, კარლსონი, ჰიზენი, ლარსონი, ფრედრიქსონი, როლანდ ნილსონი (იოჰანსონი, 78), ტორდ ჰოლმგრენი, ანდერსონი, ტომი ჰოლმგრენი (მორდტი, 71), პეტერსონი, ლენარტ ნილსონი.

# მონანიების ბარათი

**ფეხბურთის** მოყვარულებს, ალბათ, კარგად ახსოვთ თუ რა დარღვევები მოხდა II ლიგის IX ზონის შარშანდელი საკავშირო გათამაშების კალენდარულ მატჩში რუსთავის „მეტალურგსა“ და სამტრედიის „ლოკომოტივს“ შორის. სამტრედიელმა ფეხბურთელებმა უხეშად დაარღვიეს დისციპლინა, უწესრიგობის ერთ-ერთი მოთავე იყო „ლოკომოტივის“ მოთამაშე დურმიშხან თვალაბეიშვილი, რომლის მიმართაც მკაცრ სანქციებს მიმართეს.

დ. თვალაბეიშვილმა მონანიების ბარათით მიმართა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელებს და გაზეთ „ლელოს“ რედაქციას:

„წლების მანძილზე ვთამაშობდი სამტრედიის „ლოკომოტივის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში, შემდეგ გამოვდიოდი ქუთაისის ტორპედოელთა რიგებში, მერე კი კვლავ დავუბრუნდი სამტრედიას.

შარშან სექტემბერში რუსთავის „მეტალურგთან“ კალენდარულ მატჩში სპორტსმენისთვის შეუფერებელი საქციელი ჩავიდინე. დაურიდებლად შევეკამათე მსაჯს, რისთვისაც მინდვრიდან გამაძევეს. ამ მატჩში მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით გამრიცხეს სამტრედიის „ლოკომოტივიდან“ და ამიკრძალეს ოსტატთა გუნდებში თამაში.

მას შემდეგ უკვე 8 თვე გავიდა, ღრმად განვიცდი ჩემს შეცდომას, დავრწმუნდი, რომ ვუღალატე მშობლიურ კოლექტივს, სადაც აღვიზარდე და სპორტსმენად ჩამოვყალიბდი, გარდა ამისა, არად ჩავაგდე რაიონის სპორტული ინტერესები. ჩემს მიმართ გამოტანილი სასჯელი სავსებით დამსახურებული იყო, ეს კარგად შევიგნე. ამ სასჯელიდან სათანადო დასკვნები გამოვიტანე, ბოდიშს ვუხდი რუსთაველ მაყურებლებს, მსაჯს და რესპუბლიკის სპორტულ ხელმძღვანელობასაც. გთხოვთ, აღმადგინოთ მშობლიურ კოლექტივში და საშუალება მომცეთ გამოვისყიდო ჩემი დანაშაული, მსგავსი დარღვევა ჩემს მხრივ არ გამეორდება.

**დ. თვალაბეიშვილი“.**

• • •

**სამტრედიის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელის დ. თვალაბეიშვილის საკითხი ხელმეორედ განიხილა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ. მხედველობაში იქნა მიღებული ის, რომ ფეხბურთელმა ნამდვილად შეიგრძნო თავისი დანაშაული, თვით სამტრედიის „ლოკომოტივშიც“ მკვეთრად გამოსწორდა მდგომარეობა, გაუმჯობესდა დისციპლინა და გუნდი ახლა დამაჯერებლად ლიდერობს II ლიგის IX ზონის გათამაშებას. ყოველივე ზემოჩამოთვლილის გათვალისწინებით სპორტტექნიკურმა კომისიამ გადაწყვიტა საშუალება მისცეს დ. თვალაბეიშვილს გამოისყიდოს დანაშაული, სანიმუშო მოქცევით და მონდომებული თამაშით ხელი შეუწყოს თავისი კოლექტივის წარმატებას. დ. თვალაბეიშვილი დააბრუნეს კოლექტივში და მკაცრად გააფრთხილეს, რომ თავისი საქციელით, სპორტული ოსტატობით სამაგალითო უნდა იყოს ყველასათვის.**

## საბჭოთა კავშირის თასი

გუშინ შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის ორი ნახევარფინალური მატჩი.

კიევში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და მოსკოვის დინამოელები. გაზეთის დასაბეჭდად გაშვების წინ დამთავრებული იყო მხოლოდ ძირითადი დრო — 0:0.

„სიმფეროპოლის „ტავრიამ“ თავის მინდორზე მიიღო მინსკის „დინამო“. გაიმარჯვეს მინსკელებმა ანგარიშით 2:0.

## ოლიმპიურ სარბიელზე

ევროპის ზონის „ა“ ჯგუფში გაიმართა მომავალი ოლიმპიური თამაშების ფინალური ტურნირის ორი შესარჩევი მატჩი.

რუმინელმა ფეხბურთელებმა ბუქარესტში მიიღეს პოლონეთის ნაკრები, წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0:0.

საბერძნეთის გუნდი ათენში შეხვდა დანიის ოლიმპიურ ნაკრებს. დანიელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ, გამარჯვებაც მათ დარჩათ — 5:0 (3:0).

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რუმინეთი** | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 3 |
| **დანია** | 1 | 1 | 0 | 0 | 5-0 | 2 |
| **პოლონეთი** | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| **გფრ** | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| **საბერძნეთი** | 1 | 0 | 0 | 1 | 0-5 | 0 |

## ევროპის ჩემპიონატი

**მეშვიდე ჯგუფი**

ბულგარეთის ფეხბურთელები სათავეში ჩაუდგნენ თავიანთი ჯგუფის გათამაშებას ლუქსემბურგის ნაკრებთან სოფიაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ. პირველ ტაიმში სირაკოვმა და იორდანოვმა თითო ბურთი გაიტანეს სტუმრების კარში, შესვენების შემდეგ კოლევმა ანგარიში აიყვანა 3:0-მდე.

**სატურნირო ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბულგარეთი** | 5 | 3 | 2 | 0 | 10-3 | 8 |
| **ბელგია** | 5 | 2 | 3 | 0 | 15-4 | 7 |
| **ირლანდია** | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 5 |
| **შოტლანდია** | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 4 |
| **ლუქსემბურგი** | 4 | 0 | 0 | 4 | 1-16 | 0 |

ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი სპეციალისტი — საერთაშორისო სემინარის ხელმძღვანელი

**ველოსპორტის** საერთაშორისო კავშირის ტექნიკური კომისია პერიოდულად სხვადასხვა ქვეყანაში აწყობს მსაჯთა სემინარებს, რომლის მიზანია თანამედროვე ველოსპორტის განვითარების ძირითადი ტენდენციების ანალიზი და მსაჯთა კვალიფიკაციის შემოწმება-ამაღლება. მორიგი ასეთი სემინარი, რომელსაც საერთაშორისო კავშირის ტექნიკური კომისიის წევრი თბილისელი სპეციალისტი მირონ ბარამია ხელმძღვანელობდა, გაიმართა ესპანეთში, ბასკეთის პროვინციის გიპუსკოას დედაქალაქ სან-სებასტიანში.

სემინარისადმი მიძღვნილი წერილი მირონ ბარამიას შემდეგი სიტყვებით დაასათაურა: „ბასკი მსაჯების დონე საკმაოდ მაღალია". ხუან ხოსე გარაიალდიმ, რომელიც ამჟამად საფრანგეთის საზღვარზე საბაჟო სამსახურის უფროსად მუშაობს, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „როდესაც ფედერაციის პრეზიდენტმა ჰაიმე უგარტემ მთხოვა სემინარის ხელმძღვანელის კანდიდატურა შემერჩია, მაშინვე მირონ ბარამია დავასახელე, რომელიც სხვა ღირსებებთან ერთად კარგად ფლობს ესპანურ ენას. მან ფუნდამენტურად, საქმის ცოდნით გაშალა ტრეკზე რბოლის თემა და თავისი მოსაზრებები პრაქტიკული მაგალითებით განამტკიცა. მისი ლექცია სპრინტის შესახებ ჭეშმარიტად ფანტასტიკური იყო".



aramia: «Los jueces árbitros vascos están al mejor nivel»

Miro Baramia, a la izquierda, junto a Juanjo Garayalde. (Foto Inesasti)

Garayalde: «Una experiencia acertada»

მირონ ბარამია (მარცხნივ) და ხოსე გარაიალდი.

ამ ქალაქს უმდიდრესი საველოსიპედო ტრადიციები აქვს. სან-სებასტიანში მსოფლიო ჩემპიონატი ორჯერ (1965 და 1973 წლებში) ჩატარდა. სხვათა შორის, სწორედ 1965 წლის პირველობაში მოიპოვა ომარ ფხაკაძემ მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი. ეს იყო საბჭოთა სპრინტერების პირველი გამარჯვება ამ რანგის ტურნირებში.

სამი დღის განმავლობაში ბასკთა ქვეყნის ოთხივე პროვინციის 40 მსაჯი მონაწილეობდა თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებში სან-სებასტიანის ცნობილ ტრეკზე „ანოეტაზე". მირონ ბარამიას სემინარის მუშაობაში ეხმარებოდა ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის ტექნიკური კომისიის წევრი, ადგილობრივი მკვიდრი ხუან ხოსე გარაიალდი.

ბასკთა ქვეყნის ყოველდღიურმა გაზეთმა „ელ დიარიო ბასკომ"

გიპუსკოას პროვინციის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდენტმა ხოსე ლუის სანცმა იმავე გაზეთის ფურცლებზე აღნიშნა: „გაგონილი გვქონდა, მირონ ბარამია სატრეკო ველოსპორტში ნომერ პირველი კომისარი არისო. ახლა ამაში პირადად დავრწმუნდით. მისთვის ველოსპორტში არავითარი საიდუმლოება არ არსებობს. ბარამია გახლავთ სპრინტერთა რბოლაში სერიების შედგენის ახალი ფორმულის ავტორი. ამ საკითხზე იგი ხუთ წელიწადს მუშაობდა. ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა მისი ყველა წინადადება და რეკომენდაცია უსიტყვოდ მიიღო".

# საბონისი და ტიხონენკო — ევროპის ნაკრებში

ევროპის კალათბურთელთა ნაკრები მალე სამ საჩვენებელ მატჩს გამართავს — ათენში, ტელ-ავივსა და სოფიაში. კონტინენტის ნაკრების მწვრთნელია ჩეხი პაველ პეტერა. მან გუნდში მიიწვია არვიდას საბონისი და ვალერი ტიხონენკო (ორივე — სსრ კავშირი), დრაჟენ პეტროვიჩი და რატკო რადოვანოვიჩი (ორივე — იუგოსლავია), ხუან ანტონიო სან-ეპიფანიო და კანდიდო სიბილიო (ორივე — ესპანეთი), ვალტერ მანიფიკო და ანტონელიო რივა (ორივე — იტალია), ნიკოლა გალისი (საბერძნეთი), დორიან ჯამცი (ისრაელი), სტანისლავ კროპილაკი (ჩეხოსლოვაკია), ჟან ჰუფნაგელი (საფრანგეთი).

## მკითხველი — გაზეთი

პატივცემულო რედაქცია!

**„ლელოს" 26 მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილში („ყველაზე მაღალი") ნათქვამია, რომ ყველაზე მაღალი კალათბურთელია 230 სმ სიმაღლის მანუტე ბოლი. 1985 წლის „სოვეტსკი სპორტის" სექტემბრის ერთ-ერთ ნომერში (თარიღი ზუსტად არ მახსოვს) გამოქვეყნებული ცნობის თანახმად სპორტსმენის სიმაღლეა 247 სმ. გთხოვთ მიპასუხოთ, რომელი ინფორმაციაა სწორი.**

**ირინე ტატალიშვილი.**
**ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი.**

— იცით, ალბათ, აშშ-ში სიგრძის საზომი გახლავთ არა მეტრი და სანტიმეტრი, როგორც ეს ევროპის უმრავლეს ქვეყანაშია მიღებული, არამედ შესაბამისად ფუტი და ინჩი. 1 ფუტი ტოლია 30,48 სმ-სა, ხოლო 1 ინჩი, 2,54 სმ-ისა. ამერიკული სპორტული ჟურნალის „სპორტ ილუსტრეიტედის" თანახმად, მანუტე ბოლის სიმაღლეა 7 ფუტი და 6,3/4 ინჩი. ელემენტარული მათემატიკური გამოანგარიშებით მივიღებთ 230,5 სმ-ს. ასე, რომ მანუტე ბოლის სიმაღლეა 230,5 სმ.

**დავით იოვაშვილი.**

# დავით ცაგარეიშვილი

**რესპუბლიკის ვეტერან სპორტსმენთა რიგებს გამოაკლდა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ძველი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი დავით ივანეს ძე ცაგარეიშვილი.**

**დაიბადა 1904 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ გუბში. 1942 წელს სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. დ. ცაგარეიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა რესპუბლიკაში სასტენდო სროლის განვითარების საქმეში. 20 წელი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის უცვლელი წევრი იყო, ცხრაჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება, 1957 წელს კი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა წყვილ სამიზნეზე სროლაში, იყო „მედიკოსის" აბსოლუტური ჩემპიონი.**

**პროფესიით ექიმს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი სპორტთან, აღზარდა სპორტსმენთა რამდენიმე თაობა, რომელთა შორის საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე განსაკუთრებით გაითქვეს სახელი ზ. მაჩხანელმა და ბ. ანტონოვმა. შემდეგაც თავისუფალ დროს მუდამ ახალგაზრდა მსტენდენტურეებთან სტარებდა, ცოდნა-გამოცდილებას უზიარებდა, იწვევდნენ სამსაჯოდ. იგი იყო სასტენდო სროლის რესპუბლიკური ფედერაციის პასუხისმგე-**



**ბელი მდივანი, საქართველოს მო- ნადირეთა კავშირის გამგეობის სარევიზიო კომისიის წევრი, მწვ- რთნელთა საბჭოს თავმჯდომარე 1964 წელს მიენიჭა საპატიო მო- ნადირის წოდება. მიღებული ჰქო- ნდა მთავრობის ჯილდოები.**

**ამაგდარი ადამიანის, კარგი სპე- ციალისტისა და დამრიგებლის ნა- თელი ხსოვნა მუდამ დარჩება მათ გულებში, ვინც ამ ნათელ კაცს იცნობდა.**

**საქართველოს სასტენდო სროლის ფედერაცია; სპორტის ვეტერანთა რეს- პუბლიკური საბჭო.**

# ჩოგბურთის ამბები

**ამ** დღეებში გამოვაქვეყნეთ მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა სია. იგი, რა თქმა უნდა, არ ემთხვევა პოპულარულ პრიზ „ნაბისკო გრან პრისათვის" მებრძოლთა სიას, უფრო იმიტომ, რომ ზოგი გამოჩენილი ოსტატი (მაგალითად, თანამედროვეობის № 1 ჩოგბურთელი ივან ლენდლი) იშვიათად თამაშობს და ამიტომ სხვებთან შედარებით ქულებიც ცოტა აქვს.

რაც შეეხება „გრან პრის" პრეტენდენტებს, მათი სატურნირო მდგომარეობა დღეისათვის ასეთია:

1. სტეფან ედბერგი (შვეცია) — 2016 ქულა, 2. მილოსლავ მეჩირი (ჩეხოსლოვაკია) — 1338, 3. მატს ვილანდერი (შვეცია) — 1015, 4. ტიმ მაიოტე (აშშ) — 855, 5. ბორის ბეკერი (გფრ) — 832, 6. ჯიმი კონორსი (აშშ) — 777, 7. იანიკ ნოა (საფრანგეთი) — 749, 8. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — 740, 9. ჯონ მაკენროუ (აშშ) — 657, 10. პატ კეში (ავსტრალია) — 629 ქულა.

• • •

**როგორც** ციურიხის გაზეთი „შპორტი" იუწყება, ამიერიდან ბორის ბეკერი ამ გაზეთის საჩოგბურთო მიმომხილველი გახდება. ბეკერის წერილები კვირაში ერთხელ გამოქვეყნდება. განთქმულმა ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ ამ წერილებში იგი ჰონორარს არ მოითხოვს. „ჩემი ყველაზე დიდი სურვილია მომავალ ოლიმპიადაზე გამოვიდე ჩოგბურთელთა ტურნირში, რისთვისაც მინდა შევინარჩუნო მოყვარული სპორტსმენის სტატუსი".

თბილისის ზღვის კულტურისა და დასვენების პარკის სპორტულ მოედნებზე 1 ივნისიდან მოეწყობა შეჯიბრებები მინი-ფეხბურთსა და კალათბურთში ქალაქის ქუჩებისა და უბნების გუნდებს შორის (ასპარეზობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 20 და მეტი წლის სპორტის მოყვარულებს), განაცხადები მიიღება პარკის დირექციაში 29 მაისამდე (11-და 15 საათამდე).

მონაწილეთა წილისყრა მოეწყობა 29 მაისს, 18 საათზე.

**პარკის დირექცია.**

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთ- ვარმა სამმართველომ შეაჯამა შე- დეგები 17 მაისს გამართუ- „სპორტლოტოს" მორიგი, მე- ტირაჟებისა.

„სპორტლოტო 6-45"-დან: გ- იყიდა 822 318 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. ციფრის გამოცნობისთვის (42 ბა- რათი) მოგება 1442 მანეთ- ოთხისთვის (1590) — 45. სამ- სთვის (27 138) — 4.

„სპორტლოტო 5 36"-დან: გ- იყიდა 7 890 964 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვ- (30 ბარათი) მოგება 10 000 მან- თია, ოთხისთვის (4 696) — 18 სამისთვის (170 346) — 7.

მე-20 ტირაჟების მოგებათა გ- ნაღდება 1 ივნისიდან 1 ივლის- ჩათვლით.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე

## კვირას, კვლავ რიყეზე

კვირას, დილის 10 საათიდან 14 საათამდე, ძველ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე გაიმართება სპორტული ზეიმი — შეჯიბრებები სპორტის ქართულ სახეობებში. პროგრამაშია ლახტი (თბილისის უბნების ჩემპიონატი), ქართული ჭიდაობა, საჯილდაო ქვის აზიდვა, ყაბახი...

გაიმართება აგრეთვე რიყის თასის გათამაშება სკეითბორდში, მაგიდის ჩოგბურთში, სროლაში.

იმუშავებს სპორტული აუქციონი, შეკრებილთ მოემსახურება ახლადშექმნილი ახალგაზრდული სპორტული კოოპერატივი.

ეწვიეთ რიყეს.

**კომკავშირის საქალაქო კომიტეტი.**

## რეგბი

მას შემდეგ, რაც ალმა-ათის ასკ-მ შინ დაამარცხა აწ უკვე ყოფილი ლიდერი კიევის „ავიატორი" (12:3) რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის ლიდერობა ქუთაისის „მშენებელმა" იგდო ხელთ. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ფილი" — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 15:10, სსა — „სლავა" 15:0, „პრიმორიეცი" — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 6:16, ეტს — „ფილი" 9:3.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 21 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი" (ქ.) | 8 | 7 | 0 | 1 | 22 |
| „ავიატორი" (კ.) | 8 | 6 | 1 | 1 | 21 |
| ასკ (ალმა-ათა) | 8 | 5 | 2 | 1 | 20 |
| სსა (მონინო) | 8 | 5 | 2 | 1 | 20 |
| „ლოკომოტივი" (თბ.) | 8 | 5 | 0 | 3 | 18 |
| „სლავა" (მ.) | 8 | 4 | 0 | 4 | 16 |
| ეტს (კრასნ.) | 8 | 3 | 1 | 4 | 15 |
| „ელექტრ." (ტირასპ.) | 8 | 3 | 1 | 4 | 15 |
| „ფილი" (მ.) | 8 | 3 | 1 | 4 | 15 |
| „ლოკომოტივი" (მ.) | 8 | 2 | 0 | 6 | 12 |
| „პრიმორიეცი" (ლ.) | 8 | 1 | 0 | 7 | 10 |
| „შევარდენი" (თბ.) | 8 | 0 | 0 | 8 | 8 |

• • •

**გუშინ** ოკლენდში გაიმართა მოყვარულ რეგბისტთა მსოფლიო თასის გათამაშების პირველი მატჩი. ახალი ზელანდიის ნაკრებმა ანგარიშით 70:6 დაამარცხა იტალიის გუნდი. დღეს გაიმართება ორი მატჩი: ავსტრალიის გუნდი შეხვდება ინგლისის ნაკრებს, შოტლანდიისა — საფრანგეთისას. პირველი ტური ორშაბათს უელსისა და ინგლისის გუნდების ორთაბრძოლით დასრულდება.

# დაზუსტდა საზონათშორისო ტურნირის შემადგენლობა

**ფიდე-ს** (საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია) სპეციალურმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ფილიპოვიჩი (პოლონეთი), ო' კონელი (ინგლისი) და ფიდე-ს გენერალური მდივანი, პროფესორი ლიმ კოკ ანი (სინგაპური) საზონათშორისო ტურნირების მონაწილეები სამ ჯგუფად დაყო. ეს ისეთი პრინციპით მოხდა, რომ სამივე საზონათშორისო ტურნირის საერთო რეიტინგი დაახლოებით თანაბარი ყოფილიყო.

პირველ საზონათშორისო ტურნირში ითამაშებენ: კორჩნოი (შვეიცარია, რეიტინგი 2625), სპასკი (საფრანგეთი, 2605), ნიკოლიჩი (იუგოსლავია, 2600), სეირავანი (აშშ, 2595), პოლუგაევსკი (საბჭოთა კავშირი, 2585), პინტერი (უნგრეთი, 2570), მაილსი (ინგლისი, 2565), ნოგეირასი (კუბა, 2565), გრანდა (პერუ, 2550), ეინგორნი (საბჭოთა კავშირი, 2545), ტორე (ფილიპინები, 2540), გრიუნფელდი (ისრაელი, 2535), ბარლოვი (იუგოსლავია, 2495), ინკიევი (ბულგარეთი, 2475), ჰიკლი (გფრ, 2450), ელვესტი (საბჭოთა კავშირი, 2440). მათ გარდა, შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ კანადის ზონაში გამარჯვებული და იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც ტურნირის ჩატარებას ივალდებულებს.

მეორე საზონათშორისო: ლიუბოევიჩი (იუგოსლავია, 2620), პორტიში (უნგრეთი, 2610), ანდერსონი (შვეცია, 2600), ბელიავსკი (საბჭოთა კავშირი, 2585), ნანი (ინგლისი, 2585), კრისტიანსენი (აშშ, 2575), ბენჯამინი (აშშ, 2565), სალოვი (საბჭოთა კავშირი, 2550), სპრაჯეტი (კანადა, 2545), ჰიარტარსონი (ისლანდია, 2545), ველიმიროვიჩი (იუგოსლავია, 2535), ფლირი (ინგლისი, 2495), მილოსი (ბრაზილია, 2485), მარინი (რუმინეთი, 2445), ბუაზიზი (ტუნისი, 2370), იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც შეჯიბრებას ჩაატარებს და კიდევ ორი მოჭადრაკე.

მესამე საზონათშორისო (ტარდება იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცაში): ჰიუბნერი (გფრ, 2615), შორტი (ინგლისი, 2615), ტალი (საბჭოთა კავშირი, 2605), რიბლი (უნგრეთი, 2580), ალბერტი (აშშ, 2575), ჩერნინი (საბჭოთა კავშირი, 2570), საქსი (უნგრეთი, 2570), კავალეკი (აშშ, 2560), სმისლოვი (საბჭოთა კავშირი, 2550), სპილმენი (ინგლისი, 2550), პოპოვიჩი, იუგოსლავია, 2545), ზაპატა (კოლუმბია, 2505), მარიანოვიჩი (იუგოსლავია, 2505), როდრიგესი (კუბა, 2495), ერნსტი (შვეცია, 2465), პრასედი (ბანგლადეში, 2465), ჰმადი (ტუნისი, 2310) და კიდევ ერთი მოჭადრაკე.

თითოეული ამ საზონათშორისო ტურნირიდან სამ-სამი გამარჯვებული პრეტენდენტთა ასპარეზობაში თამაშის უფლებას მიიღებს.

## „ლოკომოტივის" სტადიონი

**23 მაისი**

**ფეხბურთი**

ქალთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა

თბილისის III სამედიცინო სასწავლებელი — ქუთაისის ნაკრები

დასაწყისი 16 საათზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 05347